

ირმა თავართქილაძე

**პეპლის გამჭვირვალე ფრთები**

*პიესა ერთ მოქმედებად*

**მოქმედი პირნი**

ქალი

მამაკაცი

## სცენა 1

*ოთახი სამი კარით და ერთი ფანჯრით. ოთახში დგას წიგნების ვეებერთელა კარადა, მაგიდა ორი სკამით, ტახტი, პალტოების საკიდი და დიდი სარკე. სარკის წინ საღამოს შავ გამოყვანილ კაბაში გამოწყობილი ქალი დგას*

ქალი - ნახეთ, რა ტანი მაქვს!.. ჩემი ქმარი საშინლად ეჭვიანია... ო, რომ იცოდეთ როგორ იგვიანებს... ხანდახან ღამითაც არ მოდის... მკერდზე მიყურეთ.. სუნთქვის დროს როგორ თრთის!.. გამუდმებით რეკავს!.. მოდის თუ არა, ღმერთო ჩემო, იძინებს!.. თოფიც რომ გაისროლო, არ ეღვიძება... ღამით, როცა ვწვები, ვგრძნობ, რომ შეიძლება გული ას, ათას ნაწილად გამისკდეს, დაქუცმაცდეს... აი, როგორ მიცემს... გინახავთ ასეთი მშვენიერი ყელი? ნახეთ, როგორი თეთრია!.. თმა? თქვენ გიყვართ ქალის თმის სურნელი? (ტირის) არ გიყვართ!..

### კ ა უ ზ ა

თაბაშირი... თეთრი თაბაშირის ფიგურები... მოოქროვილი ჩარჩო... გესმით ჰანგი? ეს ჰანგი ჩემი სისხლის მიმოქცევის მელოდიაა... (ჩურჩულით) ხანდახან ღამითაც არ მოდის... (იცინის) თქვენ რა, გგონიათ, ვერ ვხვდები ქუჩაში გავლისას როგორ მიცქერენ... როგორ მზომავენ... მაშიშვლებენ... მე მიყვარს მათი თვალები... მათ თვალებში ჩემს თავს ვხედავ...

### კ ა უ ზ ა

შემოდგომის ნახაზი... ვრცელი, განუზომელი სითბო... თავბრუდამხვევი ნეტარება და ქალი, რომელიც გიყვართ, ბატონო პროფესორო... თქვენი ხმოვანება ჰაერში ინავლება, თითები აღარ გემორჩილებათ და თითოეული წიგნი, რომელსაც დაწერდით, თქვენი მეხსიერების ცხრაკლიტულში დუმს... იდეა, რომელიც გმოსავთ, თქვენმა უმოძრაო სხეულმა გაყინა და ვნება, რომელიც გცავთ, მხოლოდღა უსიცოცხლო განძია...

*მაგიდაზე წიგნების კარადის თაროდან გადმოლაგებული  
წიგნები აწყვია, მტვერის ტილოც იქვეა, წიგნების წინ  
რამდენიმე ფოტო დევს.*

*მაგიდასთან მიდის, ხელში ფოტოებს იღებს, ათვალიერებს*

სულ სხვადასხვა ქალებთან დგახარ...  
ზოგის წელზე გაქვს ხელი, ზოგსაც... ეს რა არის? (იცინის)  
როგორ არ გრცხვენია?.. ეს ვისი ფეხია? ვიღაცის ფეხია...  
პირდაპირ ცხვირზე გაქვს აფარებული... ეს რა ქვეყანაა?  
დიდებული ქვეყანაა... ფი-ლა-დელ... (ფოტოებს მაგიდაზე  
აწყობს)

### 3 ა უ ზ ა

დელფინი მინდა ვიყო... იმიტომ, რომ წყალი მიყვარს...  
გავესვამ, გამოვუსვამ კუდს და გავცურავ... ან ზღვის ლომი...  
(იცინის)

### 3 ა უ ზ ა

თევზებს ჭიაყელები უფრო უყვარს თუ ბუზები? მე  
ჭიაყელები არ მიყვარს, არც ბუზები... ჭიაყელებს ვერც კი  
შევეხები, მეზიზღება... ბუზს კი ფრთებ... რა პატარა ფრთები  
აქვს, არა? არ გინდა ფრთები გქონდეს? მე მინდა... დავიძინო  
და ლამაზი სიზმრები ვნახო. დავიძინებ და გაღვიძებაც აღარ  
მომინდება... მინდა მქონდეს სახლი აივნით. ღამ-ღამობით  
გარეთ გამოვალ და მთვარეს შევხედავ... სახლის გარშემო  
წარმტაცი ბაღია. ბაღში თეთრი სკამი დგას. იმ სკამზე ვჯდები  
ხოლმე და თმას ვივარცხნი. ფუტკრებს ვუყვარვარ, უკვე  
მცნობენ და ჩემს კანზე დადიან...

### 3 ა უ ზ ა

ფული რომ მქონდეს, ფარნებს  
ვიყიდდი, ფერად-ფერად პატარა ფარნებს... გიყვარს ფარანი?  
მე ვარდისფერი ფარანი მიყვარს, იმიტომ, რომ მკრთალი  
ვარდისფერი შუქი აქვს. მკრთალი ვარდისფერი ფრთებს კიდევ  
უფრო გამჭვირვალეს ხდის, გამჭვირვალე ფრთები კი

ყველაზე კარგი ფრთებია... ასეთი ფრთები ყველას არ აქვს, შეიძლება არც არავის აქვს. ტყუილი ვთქვი, ძალიან მინდა ვიყო მთვარე! მაშინ ეს ხელები აღარ მექნებოდა, აღარც ფეხები, ბერთივით მრგვალი ვიქნებოდი და გავანათებდი... (იციან)

### კ ა უ ზ ა

უნდა ვთქვა, სიკვდილი არაფერია... უბრალოდ, ინანებ, რომ სისულელეებს სჩადიოდი, დაგეუფლება საშინელი სევდა და შეგცივდება...

### სცენა მე-2

კაცი - (აივანის კარს აღებს და შემოდის) გარეთ ჰა-ჰა ათი გრადუსი იყოს. რაიმე მომახურეთ, თორემ სულ გავიყინე... სახურავიდან დავხტი, შემეშალა და თქვენს აივანზე მოვადინე ზღართანი... ნახეთ, თავი გამიტყდა... გამოგიტყდებით, მეჩქარება... უფრო ზუსტად, შეყვარებული ვარ... ოოოოო! ძალიან შეყვარებული! აი, გული როგორ მიცემს! ასე მხოლოდ შეყვარებული გული ფართხალებს! ვარსკვლავს მაგონებთ!.. როგორი თხელი კანი გაქვთ და ცხელი ღუმელი, მეც რომ ასეთი ცხელი ღუმელი მქონდეს, თქვენს სურათს სულ თან ვატარებდი, ამოვიღებდი და... საპირფარეშო სად გაქვთ?.. მიპატრონეთ, მიპატრონეთ, (ქურთუკს გაიხდის, ხელებს გაშლის) რატომ არ გინდათ იგრძნოთ ჩემი სხეული? მართალია, იგი ლამაზი არ არის, მაგრამ მე სხვა არ მაქვს... (კუჭზე ხელებს მიიღებს) კუჭი უცნაურად მიბუყბუყებს... მომწონხართ... დაგინახეთ თუ არა, თვალებიდან ცრემლები წამსკდა... დასანანია, ვერ შეგიყვარებთ, იმიტომ, რომ უკვე მყავს შეყვარებული და სულ მუდამ ჩემი შეყვარებული მეყვარება, არ ვარგა როცა შეყვარებულებს იცვლი, ეს ცუდის ნიშანია. აი, მაგალითად, შეიძლება გვალვა იყოს, მოსავალი აღარ მოვიდეს. გიყვართ წვიმა? თუ გიყვართ, სათქვენო ამინდი ყოფილა. გარეთ გადით და სანამ არ გადაიღებს, ქუჩაში იბორიალეთ მაწანწალა ძაღლივით... სულ დამავიწყდა,

ხომ არ შეგაშინეთ? მე საშიში არ ვარ. საშიში მორიელის კუდია და კიდევ კოვიდ 19, ძალიან მძიმე ავადმყოფობაა, მე კი ხელიც არ დამიბანია, არც ტანსაცმელი გამიბერტყავს. კოვიდი კუჭს ხანგრძლივად აგიშლით... შესაძლებელია, განავალს თქვენი ოცნებებიც გაჰყვებს და საშინელი შიში იგრძნობთ...

### კ ა უ ზ ა

(ტახტზე ჯდება) მე ყველაზე დაღლილი ადამიანი ვარ, შეციებული და სიყვარულით სავსე.

### კ ა უ ზ ა

ჩემი შეყვარებული აივანზე მელოდება... მთელი ღამე ასე დამელოდება, ფეხს არ მოიცვლის, დილით კი გაფიჩხულს იპოვნო... მის სახეზე ტანჯვის კვალსაც ვერ მიაგნებენ... ბაგეები ფანჯარასავით ექნება გახსნილი და სიკვდილამდე ჩემს სახელს გაიმეორებს... როგორი ლურჯია ეს ფარდა...

ქალი - როგორც ჩვენი ოცნებები...

კაცი - როგორც ჩვენი ოცნებები...

ქალი - ჩემი ქმარი მალე დაბრუნდება... ახლავე გაბრძანდით აქედან და სათანადო აივანზე დახტით!

კაცი - ფანჯარას გავაღებ და თვალებში მაინც შევხედავ მთვარეს. საიდან უნდა ვიცოდე როგორია ჩემი შეყვარებული...

ქალი - ოღონდ, წასვლამდე რაიმე ჭამეთ...

კაცი - წაბლისფერი თმა აქვს და მიყვარს... რას აღარ მოვიმოქმედებდი ამ სიყვარულისთვის!..

ქალი - მაგიდას გავშლი...

კაცი - შეიძლება ვინმე სასიკვდილოდ დავჭრა კიდევ, მაგრამ მაშინ მეც დავიღუპები, რადგან სიტყვები აღარ მეყოფა ლექსი დავწერო...

ქალი - ჰური, მურაბა და... ჩაი...

კაცი - ჩემი პირი გვირაბია, საიდანაც სიტყვის მატარებელი მოექანება...

ქალი - თევზიც... კიდევ კარგი, გამახსენდა...

კაცი - ჩემი ცრემლი უკიდევანო ზღვაა...

ქალი - ახლავე მოვიტან...

კაცი - ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი...

ქალი - მართალია ცოტაა, მაგრამ იქნებ გეყოთ კიდეც...

კაცი - თქვენი ბაგე წითელია... როგორც... *(ყურში უჩურჩულებს)* ოოოოოოოო! არ გაბედოთ სადავე ახსნათ თქვენს გულს! ერთგულება ყურს პირდაპირ სალბუნად ედება. როგორი მწიფე მკერდი გაქვთ, როგორც ჩემი ძირმაგარა, რომელიც უკვე ერთი კვირაა არ მასვენებს. თქვენს თვალებში ალვების ხეივანია. მხრებზე მოგხვევდით ხელებს, მაგრამ, ვაითუ, გონებამ გძლიოთ... არასოდეს ჩაიდინოთ ის, რაც არ არის სიყვარული... არ მომეკაროთ! მე ლოდინზე მძიმე ვარ... გაგიცამტვერებთ ოცნებებს, მე ვერ აგიგებთ ოქროს კოშკს, რომელსაც ცხოვრება გპირდებათ.

ქალი - დიდი ცრუპენტელა ვინმეა. *(იცინის)*

კაცი - რა ლამაზი ხართ! რა მშვენიერი მხრები გაქვთ, მკლავებზე რომ აღარაფერი ვთქვა. თქვენი წელი ილლიების გასწვრივაა და სრულიად მარმარილოა, თბილი და რბილი, როგორც ბალიში...

ქალი - ჩემი ქმარი, როდესაც ვზივარ, მხრებზე ხელს მომხვევს, მკერდს შემიხსნის... კალია! *(მხარზე კალია დაახტება, ხელს მოკიდებს და მოისვრის)* კალიები რამდენ ხანს ცოცხლობენ?

კაცი - კალიებს მწვანე უღვაშები აქვთ... *(იცინის)*

კ ა უ ზ ა

ძნელია იყო მთვარე!..

კ ა უ ზ ა

ავად თუ გახდი, აღარავისთვის საჭირო აღარ იქნები. მე ვისურვებ, რომ ავად არასოდეს გავხდეთ... გამჭვირვალე ჰაერი ჰეპელასავით კეცავს ფრთებს...

ქალი - რა პატარა თითები მაქვს, განმაცვიფრე, მითხარი, რომ არ მოგწონს...

კაცი - არ მესმის ომი!

ქალი - თმებს მაწიწკნის და სურს დამავიწყოს სიყვარული.

კაცი - სრულიად მარტო ვარ! *(ტირის)*

## სცენა მე-3

**ქალი** - (მაგიდაზე დალაგებულ წიგნებს მტკერს წმენდს და კარადაში ალაგებს) ეს წიგნები საუკუნეებს ითვლის.  
**კაცი** - თუ გინდათ, სიყვარულს აგიხსნით...

კ ა უ ზ ა

და გაკოცებთ კიდეც...  
 შენი სხეული აფრაა, რომელსაც ქარი იმორჩილებს, ქარი ჩემს ვნებასავით ძლიერია, დაუოკებელია სურვილი, როგორც ზღვა...

**ქალი** - (გადაშლილ წიგნში კითხულობს) “უფსკრული, რომელიც ჩაგვიტანს, ჩვენი გაუკუღმართებული ბედის უფსკრულია...” ნახეთ, რამდენი წიგნია...

**კაცი** - (ფანჯარაში იყურება) ვარსკვლავი...

**ქალი** - ბატონ პროფესორს აღარავინ დარჩა...

**კაცი** - ბრჭყვიალა ოქროსფერი ვარსკვლავი...

**ქალი** - ჩემი ქმარი ეჭვიანი კაცია... თავბრუდამხვევი სისწრაფით მიდის დრო... თქვენ გიყვართ ნაყინი? არც მე... (იცინის) არც ჩემს ქმარს... სასტიკი... უხეში... არა, არაფერი... რომელი საათია? ღმერთო ჩემო! სახლი დასალაგებელი მაქვს... (ალაგებს) ეს ჩემი ქმრის - პროფესორის წიგნებია, ეს წიგნები...

**კაცი** - საუკუნეებს ითვლის...

**ქალი** - ნუ იფიქრებთ, რომ უწესო დიასახლისი ვარ... ეს მაგიდაა, რომელზედაც ვჭამთ ხოლმე, ეს სკამი, რაზედაც ჭამის დროს ვჯდები... ეს სახლი ჩემი ბავშვობის სახლია... რას დავემსგავსე... კაბა სულ დამეჭმუჭნა... წაბრძანდით, წაბრძანდით! თუ მოგესურვებათ, შეგიძლიათ შემომიაროთ კიდეც... მომავალში... (მატარებლის საყვირის ხმა ისმის, რაღაცას ეძებს)

კ ა უ ზ ა

**კაცი** - რას ეძებთ?

**ქალი** - მატარებლის ბილეთი დავკარგე. (მატარებლის საყვირის ხმა მეორდება. პალტოს იცვამს)

კაცი - ისეთი სიფრიფანაა... თბილად ჩაიცვით.  
 ქალი - (კალტოს ჯიბეებს იჩხრეკს, ტირის) შეუძლებელია!  
 კაცი - არაფერია, მეც დავკარგე...

### კ ა უ ზ ა

ხომ ხედავთ... (შარვლის ჯიბეებს ამოიბრუნებს)

### მატარებლის ხმა, ხმაური

უამრავი ხალხი ელის მატარებელს... დასახიჩრებული... დაკნინებული, შეშინებული ხალხი... ავადმყოფობა ფილტვებს უწვავთ და სულს ხდით... ერთმანეთზე გადადიან... მუჯლუგუნებს ურტყამენ...

ქალი - მატარებლის ბილეთი დავკარგე... (ტირის)

კაცი - უმჯობესია თვალები დახუჭოთ, (ქალს ეხვევა) იმედები წვიმას ვერ უძლებს... თვალები დახუჭეთ და ველარ დაინახავთ როგორ განადგურებთ წვიმა. ეს წვიმა ნამდვილი წვიმა არ გეგონოთ. ყური მიუგდეთ... სქელი ბლანტი სითხე ეპკურება თითოეულ ფანჯარას და საშინელ კვალს ტოვებს... რომ იცოდეთ, სულ დამასველა...

ქალი - ძვლამდე აღწევს და გულში გესობა.

კაცი - ჰაერში ჰეპლებივით ფრინავენ გარდაცვლილ ადამიანთა სულები... სიკვდილი, რომელიც ყველგანაა, შიში, რომელიც თან გვდევს... უმეცრება გვაბრმავებს, უფსკრულისკენ მივექანებით და მატარებელი, რომელიც ბედნიერ მომავალში წაყვანას გვპირდება, სულელური მატარებელია...

ქალი - მაკოცეთ! (კაცი კოცნის, სასწრაფოს მანქანის ხმა, ქალი უსხლტება) სასწრაფოს ხმაა!

კაცი - თქვენი მეზობელიც ალბათ მოკვდება... მილიონ მეათასე...

### ფანჯარაში იყურებიან

## სცენა მე-4

ფანჯარაში იყურებიან,  
თენდება

ქალი - გამთენიისას კვლავაც მთვარიანი ამინდი დგას... მთვარე ანათებს ჩრდილებს, უფსკრულებს... ხიდებს... ბაღებსა და ხეივნებს... ჰეპლებს, რომელთაც დღეს ჯერ კიდევ სძინავთ, ხვალ ამ დროს, სამუდამოდ დაეძინებათ. ვიწრო არხით უერთდება სიყვარული სიმშვიდეს...

კაცი - მიყვარხართ, სულ თქვენ მიყვარდით.

ქალი - შეუძლებელია გულგრილი დასასრული.

კაცი - არასოდეს სხვა არავინ მიყვარებია... თქვენი წაბლისფერი თმა ჩემი ოცნების თმაა და ჩემი თქვენდამი სიყვარული ყველა სიყვარულზე სრულყოფილი სიყვარულია... თქვენს თვალებში ალვების ხეივანია...

ქალი - უნდა გითხრა, რომ სიკვდილი არაფერი არ არის, უბრალოდ, ინანებ, რომ სისულელეებს იდენდი, დაგეუფლება საშინელი სევდა და შეგცივდება... მე თქვენ ვერ გაკოცებთ, მაჰატიეთ!

### კ ა უ ზ ა

ჩვენ ახლა ჰაერივით მსუბუქები ვართ და ჩვენი სურვილები მხოლოდდა განუხორციელებელი სურვილებია....

კაცი - არ გინდა ფრთები გქონდეს? წარმოიდგინე, გაფრინდი... გაფრინდი და გაფრინდი...

ქალი - ბუზივით ბზუილი სრულებით არ არის საჭირო...  
(იციინის)

კაცი - (სიცივისგან მოიბუზება) დაგავლებ ხელს და თბილ ქვეყნებში წაგიყვან... იქ გამოვიზამთრებთ და ზაფხულში უკან დავბრუნდებით... ვიღაცას კი ეგონება, რომ გავუჩინარდით. ნეტავ რას იტყვიან როცა ისევ გამოვჩნდებით?

ქალი - იტყვიან, შეგვეშალა, დაგვსიზმრებია და ცხადი გვეგონაო...

კაცი - ჩვენ კი ბევრს ვიცინებთ.

## სცენა მე-5

ქალი - ჩემი ქმარი...

კაცი - თქვენი ქმარი ერთი თვის წინ კოვიდ 19-ით გარდაიცვალა... სხვებიც იყვნენ... ისინიც დაიხოცნენ.

ქალი - ბევრი ახლაც იხოცება...

კაცი - დიახ...

ქალი - წარსული, აწმყო, ჯერაც შეუმდგარი მომავალი ერთ სიბრტყეზე წვება და იმ სკვერში იდებს ბინას, რომელსაც სიკვდილის სკვერი ჰქვია... ჩვენც იქ დაგვმარხავენ...

### კ ა უ ზ ა

ერთი თვეა კართან საჭმელს თქვენ მიწყობთ! რატომ? ახლა რატომ გამოჩნდით?.. თანაც აივნიდან...

კაცი - მომეჩვენა, რომ აივნიდან უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა... და გაგამხიარულებდით... (იციინის) ვიფიქრე, კარს არ გამიღებდით!

ქალი - დიახ! (იციინის) ჩვენ ვნახეთ შიშის სისასტიკე, შიმშილი, ნგრევა... ახლობელი ადამიანების ტანჯვა, სიკვდილი და გაუსაძლისი უმწეობა, როცა არაფრის შეცვლა არ შეგიძლია... ჩვენი ბედის ვარსკვლავი დიდი ხნის მკვდარია და ჩვენც უკვე მკვდრები ვართ...

კაცი - ჩავალ, საჭმელს ამოვიტან, თუ დარჩა ამ ქალაქში კიდევ რამე... (გადის)

## სცენა მე-6

ქალი - (კვლავ სარკის წინ დგას) ნახეთ, რა ტანი მაქვს! ჩემი ქმარი საშინლად ეჭვიანია... ო, რომ იცოდეთ, როგორ იგვიანებს... ხანდახან ღამითაც არ მოდის... მკერდზე მიყურეთ, სუნთქვის დროს როგორ თრთის... გამუდმებით რეკავს. მოდის თუ არა, ღმერთო ჩემო, იძინებს! თოფიც რომ გაისროლო, არ

ელვიძება... ღამით, როცა ვწვები, ვგრძნობ, რომ შეიძლება გული ას, ათას ნაწილად გამისკდეს, დაქუცმაცდეს. აი, როგორ მიცემს... გინახავთ ასეთი მშვენიერი ყელი? თმა? თქვენ გიყვართ ქალის თმის სურნელი? (ტირის) არ გიყვართ!..

### 3 ა უ ზ ა

თეთრი

სახლის გარშემო წარმტაცი ბაღია. ბაღში თეთრი სკამი დგას, იმ სკამზე ვჯდები ხოლმე და თმას ვივარცხნი... კართან პაწაწინა ზარია... პაწაწინა ზარი სარკესავით ირეკლავს ირგვლივ გადაშლილ სილამაზეს, თავს უყრის და თავის ვიწრო ჩარჩოში ათავსებს. ვეებერთელა ცას ვარსკვლავი მოწყდება და ჩემს აივანზე დაეცემა...

### 3 ა უ ზ ა

როგორი ლურჯია ეს ფარდა, როგორც ჩვენი ოცნებები... ფანჯარას გავაღებ და თვალებში მაინც შევხედავ მთვარეს... ვარდისფერი ფრთები გამჭვირვალე ფრთებია, გამჭვირვალე ფრთები კი ყველაზე კარგი ფრთები... ერთმანეთს შემოჰკრავ და გაფრინდები წინ... ბედნიერ მომავალში!..

*ქალი ფარდებს გადასწევს, ფანჯარას აღებს, სკამს მიიტანს, ზედ დგება და ფანჯრიდან გადახტომას აპირებს. შემოდის პირბადიანი კაცი, ხელში პროდექტების პარკი უჭირავს, ქალს მივარდება, დაიჭერს, სკამიდან ჩამოსვამს და გულში იხუტებს*

კაცი - რას აკეთებთ?

ქალი - მეგონა აღარ დაბრუნდებოდით.

კაცი - ვჩქარობდი, როგორც შემეძლო.

*კაცი კომპიუტერთან მიდის, მუსიკას არჩევს, ჩართავს.*

ქალი - მე თქვენი სახელიც კი არ ვიცი!

კაცი - (ქალთან მიდის) ვიცეკვოთ?

ქალი - ვიცეკვოთ ისე, თითქოს ბედნიერები ვიყოთ!

კაცი – თითქოს... ბედნიერები ვართ!..

*ცეკვავენ*

*დასასრული*